საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №93/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 31 აგვისტოს №93 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის №93/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ 2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება მოამზადა კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არაერთხელ მოითხოვა გადაწყვეტილების ასლი, ბოლოს იგი 2020 წლის 4 მაისს ესაუბრა მოსამართლის თანაშემწეს, რომელმაც განუმარტა, რომ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. ასევე როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, გადაწყვეტილებაზე არ არის მოსამართლის ხელმოწერა, რაც წარმოადგენს დარღვევას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- სასამართლოს 2019 წლის 7 მარტს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხის - -- -- მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასამართლომ სარჩელი მიიღო განსახილველად, ხოლო 2019 წლის 1 აპრილს მოპასუხემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებში დევს გადაწყვეტილების -- -- ჩაბარების ხელწერილი, რომელიც თარიღდება 2020 წლის 11 მაისით.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი ზემდგომ ინსტანციას წარედგინა 2020 წლის 22 მაისს. -- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 22 ივლისის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო (გასაჩივრების ვადის გასვლის გამო).

აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა კერძო საჩივრით საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

2020 წლის 7 სექტემბრის განჩინებით, -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად. საქმის განხილვა ამ ეტაზე არ დასრულებულა.

2.2. 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა - 432 სარჩელი, ხოლო ამათგან დაასრულა - 239 საქმე (55%), ხოლო 2020 წლის პირველი მონაცემებით მოსამართლეს განსახილველად ეწერა - 342 სარჩელი, საიდანაც დაასრულა - 188 საქმე (55%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 30 ოქტომბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 31 აგვისტოს №93 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის ვ.ა. ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი. სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას.

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე -- -- გააჭიანურა გადაწყვეტილების მომზადებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, რამაც მას ფაქტობრივად წაართვა მისი გასაჩივრების უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ამასთან, ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს

გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

ამდენად, აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, მხარისათვის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, „საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე". ამავე კოდექსის 60-ე მუხლის თანახმად, „წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი".

მოსამართლე -- -- გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოაცხადა 2020 წლის 28 თებერვალს. მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2020 წლის 31 მარტს, შესაბამისად სააპელაციო საჩივრის წარდგენის ბოლო დღე იყო 2020 წლის 13 აპრილი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარი წარდგენილია 2020 წლის 22 მაისს.

მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოება, რომ საჩივრის ავტორი, რომელიც არის აპელანტი, არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ასლის გაგზავნას უზრუნველყოფს თავად სასამართლო, არამედ სსსკ-ის 259[1] მუხლის საფუძველზე, იგი ვალდებული იყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღის ვადაში გამოცხადებულიყო სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით, თუმცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ ამ პერიოდის განმავლობაში იგი არ მისულა სასამართლოში და არც განცხადება წარუდგენია გადაწყვეტილების ასლის მიღების თაობაზე.

საჩივრის ავტორი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ იგი ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდა მოსამართლის თანაშემწეს, საჩივარზე დართული ამონაწერის საფუძველზე დასტურდება, რომ გადაწყვეტილების მომზადებისათვის დადგენილი ბოლო ვადის გასვლის შემდგომ (31.03.2020) მხარე როგორც სასამართლოს, ასევე თანაშემწეს უკავშირდება შემდეგ რიცხვებში: 13.04; 15.04; 16.04; 04.05.

ასევე მნიშვნელოვანია პროგრამულად გადაწყვეტილების ატვირთის თარიღიც, როგორც პროგრამიდან ჩანს გადაწყვეტილება ატვირთულია 14.04.2020 წელს, თუმცა ვერც აღნიშნულ ფაქტს მივიჩნევთ უტყუარ მტკიცებულებად, ვინაიდან შესაძლებელია მოსამართლემ გადაწყვეტილება მოამზადოს ვადაში, ამობეჭდოს, ჩადოს ხელმოწერილი დედანი საქმეში, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდგომ მისცეს დოკუმენტს პროგრამაში „საბოლოო" სტატუსი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა 2014 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1]-ე თანახმად, გასაჩივრების მსურველ მხარეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა აისახება მხოლოდ უშუალოდ მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე".[1] ამდენად, ის გარემოება, რომ მხარეს გადაწყვეტილება 2020 წლის 11 მაისამდე მოთხოვნის მიუხედავად არ ბარდებოდა ვერ დასტურდება, ვინაიდან საქმეში არ დევს არც ერთი განცხადება გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით, ამდენად მხოლოდ სატელეფონო ზარების ამონაწერი ვერ დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას გადაწყვეტილების ჩაბარებაზე ეუბნებოდნენ უარს. მხარე ვალდებული იყო სასამართლოსათვის მიემართა ოფიციალურად, წერილობითი განცხადებით, შედეგად კი სასამართლო ვალდებული იყო განცხადების პასუხად გაეცა გადაწყვეტილების ასლი. ამდენად მხარის წარმოდგენილი სატელეფონო

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, საქმე №ას-1161-1106-2014

ზარების ამონაწერი არ წარმოადგენს იმ ფაქტის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს, რომ სასამართლომ მოთხოვნის მიუხედავად არ გადასცა მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებაზე არ არის მოსამართლის ხელმოწერა, რაც წარმოადგენს დარღვევას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილებაზე დატანილია შტრიხკოდი. „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვრება ელექტრონული შტამპდატანილი დოკუმენტის უტყუარობის სტანდარტებიც. ამდენად, გადაწყვეტილებაზე, რომელზეც დატანილია ელექტრონული შტამპი/შტრიხკოდი არ საჭიროებს დამატებით შემსრულებლის ხელმოწერას. კონკრეტულ საკითხზე მსჯელობისას, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული მოსამართლის მხრიდან რაიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტზე საუბარი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №93/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი